საკანონმდებლო სიახლეები

დეკემბერი - თებერვალი, 2022

შინაარსი

ცვლილებები საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებაში №996
გვერდი 1

ცვლილებები შემოსავლების სამსახურის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული აქტი
გვერდი 2

სალომე ოდიშარია
საგადასახადო კონსულტანტი

T: +995 (599) 195 040
E: salome.odisharia@moore.ge

თეონა აბდუშელიშვილი
პარტნიორი

T: +995 (558) 506 006
E: theona.abdushelishvili@moore.ge

MOORE
T: +995 (322) 000 123
E: info@moore.ge
მისამართი: მარჯანიშვილის ქ N6, მწვანე შენობა, 0102, თბილისი, საქართველო

ცვლილებები საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებაში №996

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის ბრძანებაში №996, რომელიც გადასახადების ადმინისტრირებას შეეხება, შევიდა შემდეგი სახის ცვლილებები:

- 56 პრიმა 3 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

  1. საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულ პირს შეუჩეროს ამ ინსტრუქციის 51-ე და 561-ე მუხლებით გათვალისწინებული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებისა და საგადასახადო დოკუმენტების გამოყენების (ელექტრონული ფორმით გამოწერის/დადასტურების ან/და ჩათვლის მიღების) უფლება ან/და პირს უარი უთხრას აღნიშნული დოკუმენტების მატერიალური ფორმით გაცემაზე:

  ა) დღგ-ის გადახდისაგან თავის არიდების, მათ შორის, უსაქონლო ოპერაციის ან ფიქტიური გარიგების ნიშნების გამოვლენისას. ამ შემთხვევაში საქმის მასალები გადაიგზავნება შესაბამის საგამოძიებო ორგანოში;

  ბ) შესაბამისი საგამოძიებო ორგანოს მოთხოვნისას (მის წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში);

  გ) შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანების საფუძველზე და მის მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგიის მიხედვით.

- 2022 წლის 27 იანვარს შესული ცვლილების თანახმად, დღგ-ს გადამხდელი იურიდიული პირებისთვის სავალდებულო გახდა ნულოვანი მოგების გადასახადის ყოველთვიურ დეკლარაციისა და საანგარიშო თვის მიხედვით გაცემული შრომის ანაზღაურების თანხებისა და დაკავებული გადასახადის შესახებ დეკლარაციის ყოველ თვე წარდგენა, ამასთან, გათვალისწინებული დებულება არ ვრცელდება იმ საანგარიშო პერიოდ(ებ)ის მიმართ, რომელშიც გადასახადის გადამხდელი, გადასახადების ადმინისტრირების საინფორმაციო სისტემის მიხედვით, იმყოფება გაკოტრების რეჟიმში ან მიმდინარეობს მისი ლიკვიდაციის პროცესი;

- 2022 წლის 8 თებერვლის ცვლილებით მოხდა აზარტული თამაშობის ან/და ტოტალიზატორის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მომწყობი ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციის ახალი რედაქციით ჩამოყალიბება;

MOORE

შემოსავლების სამსახურის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული აქტი

შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანება №22708 2019 წლის 08 ივლისი. ცალკეულ შემთხვევებში პირის საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრის მიზნით მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე.

აღნიშნული ცვლილების თანახმად:

- ბრძანებას დაემატა „სალაროში ნაღდი ფულის შესახებ“ №9, ხოლო დანართები №3 („სალაროს უძრავი ნაშთის დაბეგვრის შესახებ“) და 4 („ანგარიშვალდებულ პირზე დაფიქსირებული ნაშთის დაბეგვრის შესახებ“) ამოღებულ იქნა.
- გამოიცა 6 ახალი სიტუაციური სახელმძღვანელო, რომელიც მოგების გადასახადს ეხება:
  1. №2659 - სპეციალური რეჟიმით დასაბეგრი საქმიანობის ნაწილში დივიდენდის სახით ზედმეტად გაცემული თანხა.
  2. №2660 - მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული საქმიანობის ნაწილში დივიდენდის სახით ზედმეტად გაცემული თანხა.
  3. №2661 - ჩვეულებრივი რეჟიმით დასაბეგრ ნაწილში დივიდენდის სახით ზედმეტად გაცემული თანხა.
  4. №2662 - შერეული საქმიანობისას დივიდენდის სახით ზედმეტად გაცემული თანხა.
  5. №2663 - შეღავათის გავრცელების მიზნებისთვის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში საქმიანობა.
  6. №2664 - თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში შეტანილი საქონლის რეალიზაცია.
- გამოიცა ახალი №1428 მეთოდური მითითება, რომელიც ფარმაცევტულ საქმიანობაში გამოყენებული ქონების დაბეგვრას ეხება ქონების გადასახადით.
- გამოიცა მეთოდური მითითება ვირტუალური ზონის პირის მოგების გადასახადით დაბეგვრის თაობაზე №12149.
- 2021 წლის 8 დეკემბერს გარკვეული ტიპის ცვლილება შევიდა „ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებით განსაზღვრული საგადასახადო შეღავათით სარგებლობისა და არარეზიდენტისათვის საქართველოში გადახდილი გადასახადის დაბრუნების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის №633 ბრძანებაში, რაც გულისხმობს შემოსავლის ბენეფიციური მფლობელის განმარტების დაზუსტებას.

MOORE

ჩვენ შესახებ

MOORE abc წარმოადგენს აუდიტორული და საკონსულტაციო ფირმების გლობალური ქსელის **“Moore Global Network Limited “**- ის წევრ კომპანიას. Moore Global - ი წარმოადგენს საბუღალტრო და ბიზნეს საკონსულტაციო კომპანიას რომელიც მსოფლიოს 114 ქვეყანაშია წარმოდგენილი. 2019 წლისათვის ქსელის საერთო შემოსავალმა შეადგინა 3.05 მილიარდი აშშ დოლარი.

>114	>260	>579	>30,809
ქვეყანაში	წევრი	ოფისი	თანამშრომელი

MOORE

MOORE abc არის ერთ-ერთ ლიდერი კომპანია ქვეყანაში, რომელიც 2008 წლიდან უწევს საბუღალტრო და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგების, ქონების შეფასების, აუდიტსა და დაკავშირებულ პროფესიულ მომსახურებას მთელი საქართველოს მასშტაბით.



www.moore-georgia.ge

MOORE

We believe the information contained herein to be correct at the time of going to press, but we cannot accept any responsibility for any loss occasioned to any person because of action or refraining from action as a result of any item herein. Printed and published by © Moore Global International Limited. Moore Global International Limited, a company incorporated in accordance with the laws of England, provides no audit or other professional services to clients. Such services are provided solely by member and correspondent firms of Moore Global International Limited in their respective geographic areas. Moore Global International Limited and its member firms are legally distinct and separate entities. They are not and nothing shall be construed to place these entities in the relationship of parents, subsidiaries, partners, joint ventures, or agents. No member firm of Moore Global International Limited has any authority (actual, apparent, implied, or otherwise) to obligate or bind Moore Global International Limited or any other Moore Global International Limited member or correspondent firm in any manner whatsoever.